N გ-24-04/1961
11/09/2024

1961-გ-24-04-2-202409111727

მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2024 წლის 13 სექტემბერს, 12:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო: 18:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „ფორმულასა“ და შპს „ტელეკომპანია პირველის“ წინააღმდეგ მპგ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" საჩივარი.

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომაში. გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება.

კონსტანტინე ქორიძე

დეპარტამენტის უფროსი
მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი